№ 279

ოთხშაბათი, 30 დეკემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8—	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 279

ოთხშაბათი 30 დეკემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული

ქართული თეატრი

შაბათს, 2 იანვარს,

ქართულის თეატრის დაფუძნების სახსოვრად

წარმოდგენილი იქმნება პირველად განახლების შემდეგ:

I

დავა

კომედ. 5 მოქმედ., თხზ. თავ. გ. ერისთავისა

II

სამზადისი

სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროისა., თხზ. ვ. უმიკაშვილისა.

დასასრულ

აპოთეოზი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

დიდი იაფობა

იაპონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოვო და ორიგინალ საქონლისა.

იყიდება: უმშვენიერესი საჩუქრები დღესასწაულებში მისართმევად, ოთახების მოსართავად, საწერლო მაგიდებისა, კუთხეებს და კედლების შესამკობად და სხვანი.

აქვე ისყიდება მრავალგვარი აბრეშუმეულობა და ფანზა ჩინეთისა (თეთრეულებისათვის).

ისყიდება აგრეთვე შეკერილი ხალათები. ფუშები და სხვა.

დოლის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ,

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.

(—6.—9)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—15)

ოთხშაბათს, 6 იანვარს 1899 წელს, ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართული იქმნება

ბალი

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთების ფასი 2 მან. 10 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (5—3)

იყიდება

სურათი, რომელზედაც დახატულია თამარი, როდესაც რუსთაველი ვეფხის-ტყაოსანს აძლევს. სურათი ნაკერია და ერთს ადლზედ მეტი იქმნება. ღირს 300 მანეთი. ერევნის მოედანი, ლისინოვის და ტერპეტოვის მაღაზიაში. (3—199—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სალოსტაქორო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასუკინი—12—1 საათ ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. ბურკე. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6\frac{1}{2}$—7 საათ

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძა პოდპოლკოვნიკობა სენაკის მაზრის უფროსს პოდპოლკოვნიკს ქავთარაძეს.

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო. ნადვორნი სოვეტნიკობა ტფილისის საგუბერნიო ხაზინის ბუღალტერს რცხილაძეს; კოლეჟსკი სეკრეტარობა—ყარსის საოლქო გამგეობის თარჯიმანს ზალდ სტანიშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ტფილისის სახაზინო პალატის ბუღალტრის თანაშემწეს კუხიანიძეს.

ახალი ამბავი

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრომ გადასდო 3000 მანეთი ტფილისში სამეურნეო საზოგადოებასთან სამეურნეო იარაღის და სამკურნალო მასალის საწყობის გასამართავად. საზოგადოებას აზრადა აქვს საწყობი ალექსანდროვის ბაღში, თავისის სადგომის გვერდით გამართოს. საზოგადოებამ უკვე მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა დაგვითმეთ მიწის ნაჭერი სადგომის გვერდით საწყობისათვისაო.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა თანამდებობაში მოქალაქის საზოგადოების მიერ არჩეულნი წევრნი ტფილისის ობოლთა სასამართლოსი და მათი კანდიდატები.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ გორის რამდენმამე ამომრჩეველმა საჩივარი შეიტანა გუბერნატორთან გორის ქალაქის რწმუნებულთა არჩევანების უკანონობის შესახებ. იგივე გაზეთი იუწყება, რომ ეს საჩივარი გადაეცა განსახილველად გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს.

⁂ რუსეთის იმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას აზრადა აქვს მომავალის წლის გაზაფხულზედ გამართოს ხილეულობის გამოფენა.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის საზოგადოებისათვის 1899 წ. გადასდო 12,360 მანეთი.

⁂ გზათა სამინისტროს უკვე წარედგინა პროექტი ერევანსა და ჯულფის შორის რკინის გზის გაყვანის შესახებ. ეხლა, როგორც ,,ტფ. ფურ.“-ი იუწყება, სამინისტრო ამ პროექტის განხილვას მომავალის წლის იანვარში შეუდგება.

⁂ ტფილისში, ერთის თავადის შვილის სარდაფში, მოსამსახურეებს აღმოუჩნდათ დიდად საინტერესო სიგელ-გუჯრები და მასთანვე შესანიშნავი ხელთ-ნაწერი ქართველთ მხატვრების „სახელმძღვანელოსი“, თუ ძველად ისინი როგორ ამზადებდენ სხვა-და-სხვა სამხატვრო წამლებს და ამისთვის საიდგან რა მასალა შემოჰქონდათ.

⁂ 28 დეკემბერს კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრმა ნ. ი. პრიბილმა იდღესასწაულა თავისის სამსახურის 50 წლის იუბილეი. ეს 50 წელიწადი ნ. ი. პრიბილმა კავკასიაში გაატარა. ამ დღეს იუბილიარს მიულოცეს კავკასიის მთა-

ფელეტონი

განდევნილი გიგო.

(ერთი ამბავი სტუდენტთა ცხოვრებისა)

დეკემბრის უკანასკნელი საღამო იყო. პეტერბურგი ამ დროს მიწყნარებულ-მიძინარებულიყო. ახალწლისათვის მზადების ღრიანცელი შეწყვეტილი იყო და მყუდროება ჰსუფევდა ქუჩებზედ. თითქოს ყველა დაღალულიყო ამ მზადებით და ყველას სახლში მოეკალათნა. ჩვეულებრივი ეტლთა და მარხილთა რახრუხი და თავმომაბეზრებელი მოძრაობა შეჩერებულიყო და ყველა „ახალის წლის“ დასახვედრად ისვენებდა, რათა მეტის ძალითა და მხნეობით მიჰგებებოდა.

ერთის სიტყვით, ეს მოძრავი და მოუსვენარი პეტრეს ქალაქი ამ საღამოს განაბულიყო და თითქოს სიცოცხლე სრულიად შეეჩერებინა, სუნთქვა შეჰხუთვოდა. ამ სიჩუმესა და მყუდროებას საშინელი ჩრდილოეთის ყინვა დაჰპატრონებოდა. მართლა რომ ამ საღამოს არა ჩვეულებრივად ჰყინავდა, ეს იმითი სჩანდა, რომ ქუჩა-ქუჩა „დვორნიკებს“ *) ცეცხლები დაენთოთ გამვლელ-გამომვლელთა გასათბობად და ამ ცეცხლის ტკაცა-ტკუცი და ალი ყველას თავისკენ იზიდავდა. ცეცხლს პეტერბურგში მხოლოდ საშინელ ყინვიან საღამოებს ანთებენ ხოლმე.

ასე, საღამოს შვიდი საათი იქნებოდა. ყაზანის ქუჩის მე-2 №-ის სახლისათვის რომ კაცს ყურადღება მიექცია, შენიშნავდა, რომ ამ სახლში მრავალი სტუდენტობა შედიოდა: ზოგი ჯგუფად, ზოგი ცალ-ცალკე. მომეტებული ნაწილი-კი ყაზანის ქუჩის მცხოვრებლები იყვნენ. ეს ქუჩა დასახლებული იყო ქართველ სტუდენტებით, ასე რომ ყაზანის ქუჩის ქართველი სტუდენტობა „ქართველების უბანს“ ეძახდნენ. ამ საღამოსთვის „გრადონაჩალნიკისაგან“ ქართველ სტუდენტობამ ნება-რთვა აიღო ერთად შეკრებისა, რათა ყველა ქართველს მოსწავლეს ერთად გაეტარებინათ ეს საღამო და ,,ახალს-წელს'' ერთად დახვედროდა. ყოველ სტუდენტს სიხარულის ღიმი უკრთოდა პირი-სახეზე და ამ ჩვეულებრივის სიხარულით მიემართებოდა ამ სახლისაკენ. ეს ბინა ეკუთვნოდა ორ ძმათა სტუდენტს მ—შვილებს, რომლებიც ამ საღამოს უმასპინძლდებოდნენ ქართველ სტუდენტობას. სტუდენტთა შორის მოკრებილის ფულით უნდა ვახშამი მოემზადებინათ და ავან-ჩავანობა თვით გაეწიათ.

თითქმის ყველა სტუდენტი მოსულიყო და ერთი ერთმანეთს ებაასებოდნენ სხვა-და-სხვა საგნის შესახებ.

— ყმაწვილებო! მგონი დროა საქმეს ხელი მივყოთ, აგერ რვა საათი შესრულდა, თითქმის ყველანი აქა ვართ და რისიც თქმა გვინდა, დავიწყოთ. თავმჯდომარე ამოვირჩიოთ, —სკამზედ დამდგარიყო სტუდენტი კ—ი და იქიდგან გაიძახოდა.

— ამოვირჩიოთ, ამოვირჩიოთ, ყველამ თითქმის ერთხმად მიაყვირეს და დიდის თხოვნის შემდეგ ამოირჩიეს თავმჯდომარედ სტ. სამსონიძე.

— ხომ იცით, ყმაწვილებო, რაცა გვაქვს ამაღამ გადასაწყვეტი და აბა მაინც ჩამოვთვლი ყველა საგანს და ვისაც რაიმე აქვს სათქმელი, წარმოსთქვით. თავმჯდომარეს მიაწოდეს უკვე გასარჩევად ამოწერილი საგნები და წაუკითხა კრებას: „გამგეობის წევრების ამორჩევა“, „სექციების მდგომარეობა“, „სტუდენტის გიგო რევაზაძის საქციელი“, „ქართულ საღამო“-ს ანგარიში და სხვ. და სხვ..

ეს ერთად-ერთი დღე იყო მთელს წელიწადში, როდესაც ყველა სტუდენტი ერთად იყრიდა თავს და მთელს წელს რაც-კი რამ მომხდარიყო სტუდენტთა ცხოვრებაში, დღეს უნდა აღენიშნათ.

პირველი საგანი გამგეობის წევრთა არჩევანი იყო. ყოველ წელს

---

*) ასასებს.

ვარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა, მიწად-მოქმედების რწმუნებულმა ი. ს. მედვედევმა, მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორმა, მოხელეებმა და სხვათა.

⁂ ქალაქის საბჭოს მკურნალებს დაევალათ პოლიციასთან ერთად ხელ-ახლა დაათვალიერონ კერძო სახლები, დუქნები და საზოგადოდ ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება იმის გასაგებად, ყვავილით ან სხვა გადამდების სენით ავადმყოფი ხომ არსად არის.

⁂ ბ-ნ ნათიშვილს მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად შეუწირავს 10 მანეთი.

⁂ კვირას, 27 დეკემბერს, მოხდა რუსეთის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა წლიური კრება. როგორც კრებაზედ წაკითხულ ანგარიშიდგანა სჩანს, განყოფილებას 207 წევრი ჰყოლია (მათ შორის 41 საპატიო). წლის განმავლობაში განყოფილებას სულ 19 კრება ჰქონია. გაუმართავს 4 დიდი და 10-ზედ მეტი პატარა გამოფენა. გარდა ამისა გაუმართავს ბაღოსანთა კრებები ტფილისსა, ქუთაისსა, სოხუმსა, განჯასა და კავკავში. განყოფილებას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს გამოსცეს ყოველ-კვირეული გაზეთი. განყოფილებასთან არსდება თესლეულობის საწყობი და ბიურო.

⁂ ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ მდიდარი ნავთის მწარმოებელი ა. ი. მანთაშევი თავისს ქარხნებსა ჰყიდისო. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, 23 დეკემბერს მანთაშევს უკვე მიუყიდნია თავისი ქარხნები 22 მილიონ მანეთად პეტერბურგელ კაპიტალისტთა ამხანაგობისათვის.

⁂ სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, სამკურნალო დეპარტამენტმა დაავალა კავკასიის ყველა გუბერნატორსა და ოლქის უფროს შეჰკრიბონ და გაუგზავნონ დეპარტამენტს ცნობები კეთროვანთა რაოდენობის შესახებ კავკასიაში. აზრადა აქვთ კავკასიაში გამართონ თავშესაფარი კეთროვანთათვის.

⁂ „С.-П. В.“-ს სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს წარედგინა დასამტკიცებლად პროექტი „ფოთი-ქიათურის შავის ქვის მწარმოებელთა და სამეტალურგო საზოგადოებისა.“

⁂ გაზ. „ტფ. ფ.“-ს სიტყვით, შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნიის სოფ. ტყვარჩელის სასწავლებლის სასარგებლოდ გადადებულ იქმნას 500 მანეთი.

⁂ როგორც „კავ.“-ს სწერენ, 22 დეკემბერს გორის სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში გაუმართავთ სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. მონაწილეობა მიუღიათ სასწავლებლის მოსწავლეთ.

⁂ გაზ. „Моск. Вѣд.“-ი იუწყება, რომ მომავალ წელს ფულად დახმარება მიეცემათ მთავრობისაგან შემდეგს გაზეთებს: „Вилен. Вѣстникъ“-ს, „Кавказъ“-ს, „Варшавскій Дневникъ“-ს და „Забайкальскія Областныя Вѣдомости“-ს და ჟურნალებს: „Зодчій“-ს და „Вѣстникъ общ. гигіены, судебной и практической медицины“-ს.

⁂ ბათუმი. 21 დეკემბერს ბათუმის ქალაქის საბჭოს კრება ჰქონდა. კრებამ, სხვათა შორის, განიხილა ხმოსანის ი. მურომოვის წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქმა სახსოვარ ჰყოს და იდღესასწაულოს რუსეთის პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულება. ბ-ნ მურომოვის აზრით ამ დღის სახსოვრად საჭიროა დაარსებულ იქმნას ბათუმში ,,სახალხო სახლი'', სადაც მოთავსებული იქმნება სამკითხველო წიგნთსაცავი და დარბაზი წარმოდგენებისა და სახალხო კითხვებისათვის. საბჭომ აარჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიანდო ამ წინადადების განხილვა და დაწვრილებით შემუშავება.

იმავე კრებაზედ საბჭომ გადასწყვიტა დაუთმოს ქ. ბათუმის ლოტრანგებს უსასყიდლოდ მიწის ნაჭერი ქალაქის ბაღში, ზომით 400 ოთხ კ. საჟ. ამ ადგილზედ ლოტრანგებს აზრადა აქვთ ეკკლესია აავონ.

⁂ ქუთაისი. 26 დეკემბერს ქუთაისის ქალაქის საბჭომ, საგანგებო კრებაზედ, 32 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 7-ისა უყურადღებოდ დასტოვა ბ-ნ რობის წინადადება, რომლითაც ბ-ნი რობი პირობას აძლევდა ქალაქს გავიყვან ქუთაისში ჯერ ცხენის რკინის გზას და შემდეგ ელექტრონით ვატარებ ვაგონებსო. უარის თქმა დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ პირობა რობისა გაურკვეველი და განუსაზღვრელია, რის გამოც საბჭოს ხელთ არა აქვს საშუალება ამ საგანზედ გარდაწყვეტილი სთქვას რამე.

ამავე საღამოს ქალაქის თეატრში დანიშნული იყო ბენეფისი ბ-ნ ვ. ა. ბალანჩივაძისა. ითამაშეს კარეევის სამ-მოქმედებიანი დრამა ,,უბედური ნაბიჯი'', ნათარგმნი თ. შ. დადიანის მიერ. მობენეფისე როტმისტრის როლს ასრულებდა. წარმოდგენას ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო, რაიცა იმითი უნდა აიხსნას, რომ ამ დღეს საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დარბაზში საქველ მოქმედო აზრით (ქალების უფასო სკოლის სასარგებლოდ) გამართული იყო საცეკვაო საღამო, რომელმაც დიდი საზოგადოება მიიზიდა.

დრამის შემდეგ ითამაშეს ერთმოქმედებიანი ვოდევილი თ. ა. წერეთლისა „ბუტიაობა“. მობენეფისემ საუცხოვოდ აასრულა იმერელ ბიჭის არისტოს როლი და დიდად ასიამოვნა საზოგადოება.

⁂ რკინის გზის სადგურ გომიდგან ,,ტფ. ფურ.''-ს სწერენ: შობა დღეს, 25 დეკემბერს, სახალხო მატარებლის წასვლის შემდეგ სადგურის ბაქანთან ჰნახეს გვამი გლეხის გოიაძისა. გოიაძე სურამში მიდიოდა, თან ხურჯინი ჰქონდა, როგორც ეტყობა მატარებელში აპირებდა ჩაჯდომას, მაგრამ ფეხი დასხლტია და ქვეშ მოჰყოლია.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი აცხადებს, რომ 20 დეკემბრიდგან შეიძლება საახალწლო მისალოც დეპეშების გაგზავნაო. ასეთ დეპეშებს უნდა დაეწეროს ზედ ,,საახალწლო''. დეპეშებს გადასცემენ იმათ, ვისთანაც გაგზავნილია პირველ იანვარს, დილის 8 საათზედ.

⁂ გაუქმებულ იქმნა ტფილისის გუბერნიაში სოფ. გომბორში არსებული საავადმყოფოს განყოფილება.

⁂ გაზ. ,,მშაკი'' იუწყება, რომ ამ ბოლოს დროს ზარზაღის მაზრაში ბევრმა გაჰმართა ყველისა და ერბოს ქარხნები. სოფ. ვორონცოვკაში 6 ასეთი ქარხანა დაიწყებს მოქმედებას: შადინოვისა, ტომილინისა, სობოლევისა, ნოვოსელცოვისა, ბოლდანოვისა და ტულანოვისა.

⁂ ვერის მართლ-მადიდებელთა ეკკლესიის მღვდელმა გამოუცხადა პოლიციას, რომ 25 დეკემბერს, საღამოს 5 საათზედ, ვიღაცამ მოიპარა ეკკლესიის კარებზედ ჩამოკიდებული ყულაბი; ყულაბში ორ მანეთამდე იქნებოდაო. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ყულაბი ტფილისის მცხოვრებელს ალ. კარიპაშვილს მოუპარავს.

⁂ 26 დეკემბერს, მეეტლემ № 43, კახეთის ქუჩაზედ დაჯახა ეტლი ტფილისის მოქალაქეს ალ. მაყაშვილს და დაშავა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო მეეტლე სამართალში მისცეს.

⁂ როგორც „კავ.“-ს სწერენ თელავის მაზრიდგან, სოფელ ყარაჯალის მცხოვრებელი გლეხი გიულ-ამად-ჰაჯი კამი-ოღლი ამას წინად სოფელ ოკიოში წასულა იქაურ გლეხის ბესო მეზვრიშვილისაგან ვალის მისაღებად და შინ აღარ დაბრუნებულა. პოლიციას გამოუკვლევია, რომ კამი-ოღლის თან 50 მანეთი ჰქონია და ვერცხლის ხანჯალი, რომელიც 40 მანეთი ღირებულა, ღამის გასათევად სოფ. ოკიოში მეზვრიშვილთან დარჩენილა. ძილის დროს მეზვრიშვილს თავისს მეზობელ სისია ბლაგიშვილის დახმარებით ცულით მოუკლავს და მოკლულის გვამი ეზოში ჩაუფლავს. მკვლელები შეუპყრიათ და სამართალში მიუციათ.

⁂ საგუბერნიო გამგეობის მოხელე გატჩინი დანიშნულ იქმნა ქ. ტფილისის მე-VII ნაწილის ბოქაულის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

⁂ გორის მაზრაში სოფელ სომხის მცხოვრებელმა ივანე ჯუგაევმა ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა თავისივე ბიძა დოხციკო ჯუგაევი.

⁂ სიღნაღის მაზრაში, სოფელ კატანის მცხოვრებელმა სანდრო ალავერდაშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით მძიმეთ დასჭრა თავისსავე სოფლელი მიხეილ ნარინდაშვილი.

⁂ გორის მაზრის სოფ. ახალ უბანში ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს აზნაურის მიხეილ კობახიძის საბძელს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა მიანდო პოლიციელებს ამ თვის პირველ რიცხვებში უკვალოდ დაკარგულ სოფ. ცხინვალის მცხოვრებლის ალექსი კურტიშვილისა და ტფილისის მცხოვრებლის დარჩო არუთინოვის მოძებნა. კურტიშვილი ამას წინად ტფილისში ჩამოსულა თავისს ბიძას არგოვანიძესთან, შემდეგ სადღაც წასულა და აღარ დაბრუნებულა.

⁂ 26 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის სადგომის აივანიდგან ნიკოლოოზის ქუჩ. ვიღაც ქურდებმა მოიპარეს ორი პალტო და ნაბადი.

რას ოვახმაროთ ბანკიდგან გამოსატანი ფული?

ბ-ნ როსტომაშვილის აზრით, ამ ფულით ისევ ბანკი უნდა დავაფუძნოთ იმ განსხვავებით, რომ ახალი ბანკი უნდა იყოს საერო და არა წოდებრივიო. მე ვფიქრობ, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, რომელთაც აქ ვერ შევეხები, ხსენებულ თანხიდგან საერო ბანკის დაფუძნება შეუძლებელია. ჩვენ უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ეს თანხა თავად-აზნაურობის კერძო საკუთრებაა და, მაშასადამე, ყველაზე უმალ ამ წო-

---

ირჩევდნენ გამგეობის ხუთს წევრს, რომელთაგან ერთი „მინისტრ-პრეზიდენტი'' იყო და დანარჩენებს ,,მინისტრები“ ეწოდებოდათ... იმათ უნდა განეგოთ მთელს წელიწადს სტუდენტების საქმეები და წლის დამლევს ანგარიში უნდა წარედგინათ.. ძველი „სამინისტრო“ გადაყენებულ იქმნა. არჩევანები კენჭის ყრით იყო. ამ საღამოსათვის საგანგებოდ მოემზადებინა პურის გულისაგან „შავი და თეთრი“ კენჭი ვ. კ—ს, რომელსაც კენჭების „დოსტავშჩიკს“ ეძახდნენ ამხანაგები. აქ ამომდე-კი აზრის გამოთქმა ქაღალდზედ დაწერით იყო ხოლმე და მინისტრ პრეზიდენტის „პორტფელი“ გარდაეცა სტ. ჯ—შვილს.

წრევანდელი წელიწადი ღირს შესანიშნავი წელიწადი იყო პეტერბურგის სტუდენტების ცხოვრებაში. ამ წელს „აღორძინების'' წელიწადი დაერქვა. მართლაც, ამ წელს სულ ახალი ნაბიჯი წასდგა სტუდენტობამ წინ და სულ სხვა ელფერი მიიღო მათმა მიმართულება-ცხოვრებამ. აქ ამ წლამდის დაახლოვებული ,,კავშირი'' არ არსებობდა მათ შორის, დამაკავშირებელი ორგანო არა ჰქონდათ რა, არა ჰქონდათ საშუალება ერთმანეთის აზრი და იდეა გაეზიარებინათ და წრევანდელმა წელმა კი შეჰქმნა ისეთი ორგანო, რომლის საშუალებით ქართველ სტუდენტთა აზროვნობა ერთმანეთს დაუახლოვდა. ეს საშუალება გახლდათ „სექციები“. წინა წლებში სტუდენტების დამაკავშირებელი მხოლოდ „აზაზი“ იყო, რომლის შეტანა კასაში თვეში ერთხელ სავალდებულოდ იყო ყოველის სტუდენტისათვის (როგორც საწევრო ფული), სხვა ნიადაგი კავშირისა მათ შორის არ არსებობდა, ამ წელს კი „შრომა“ ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო გახდა. ვინც რომელსამე სექციაში მომქმედს მონაწილეობას არ მიიღებდა, იგი „წრიდგან“ გამორიცხული იქნებოდა. სხვა-და სხვა გვარი სექციები არსებობდა: „სექცია ფილოსოფიისა“, სადაც ფილოსოფია უნდა შეესწავლათ, „პოლიტიკო—ეკონომიისა'', ,,ქართულის ენისა'' და სექცია ეგრედ წოდებული ,,ენციკლოპედიური'', სადაც შეეძლო ჩაწერილიყო ყველას. ამ სექციაში წერილებს კითხულობდნენ, ვინც რა საგნის შესახებ მოისურვებდა. ამ საღამოს ანგარიში იყო წაკითხული, რომელ სექციას რამდენი კაცი ესწრობოდა და რას აკეთებდნენ. აღმოჩნდა, რომ მრავალი რეფერატი წაეკითხათ მთელის წლის განმავლობაში „სექციებზედ'', თუმცა კი ზოგიერთს სექციას დაბადებიდგანვე სული ამოხდა უდროვოდ, მაგ. ,,ეკონომიურს''... ერთის სიტყვით, ეს ახალი „ხანა“ იყო სტუდენტების ცხოვრებაში და მასთან „ხანა“ პროგრესიული, თვალსაჩინო, სასარგებლო....

ამ საღამოსვე უნდა განეხილათ ,,ქართული საღამოს“ ანგარიში, ,,საღამო“ პეტერბურგში ყოველ წელს დეკემბრის თვეში იმართება, გამგენი მისი თვით ქართველი სტუდენტობაა და შემოსავალიც შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდაა. ყოველ წელს ნამდვილს შემოსავალს საშუალო რიცხვით ასთუმნამდის რჩებოდა ხოლმე. ეს ფული მალე განაწილდებოდა ხოლმე შეუძლებელ სტუდენტთა შორის ლექციების შესატანად და იანვრის პირველ რიცხვებში ფული სულ აღარ არის ხოლმე „კასაში''. წრევანდელ წელს კი თუმცა ანგარიშით შემოსავალი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ნაღდი ფული კი ძალიან ნაკლები სჩანდა... ამ გარემოებამ აალაპარაკა სტუდენტობა და უკმაყოფილების დრტვინვა დაიწყეს. ანგარიში უთავბოლოდ და გაურკვევლად იყო შემდგარი და ყველა ეს „სათეატრო—კომისიის“ ბრალი იყო. (ასე ეწოდებოდა საღამოს გამგეთ). ამ კომისიას ეკუთვნოდა სტ. გიგო რევაზაძეც, და მისი ,,საქციელი'' დაკავშირებული იყო ამ საღამოს ანგარიშთან. ანგარიშში მოხსენებული იყო, რომ გიგო რევაზაძეს ჩვიდმეტი თუმანი მარტო ეტლის ქირაში დაეხარჯა და ათი თუმანიც ისე გაეფლანგვა საღამოს ფული სტუდენტთა დაუკითხავად, და სად წავიდა ეს ათი თუმანი, პასუხს არ იძლეოდა: არ მახსოვს, სად და როგორ დავხარჯეო. ყველა გაოცებული იყო და არავინ იჯერებდა, რომ ჩვიდმეტი თუმანი არასოდეს არ დაიხარჯებოდა და თვითონ რევაზაძე ჩაიჯიბავდაო. მთელი სტუდენტობა აღელვებული იყო ამ ამბით და ყველა რევაზაძისაგან პასუხს თხოულობდა. რევაზაძე გამგეობის წევრთ უპასუხებდა ხოლმე, რომ მე არა შემიჭამია რა და ის ათი თუმანიც ერთს ჩვენ ამხანაგთაგანს ვასესხე, ძალიან უჭირდა; გვარს-კი არ ვიტყვიო. იგი უარს ჰყოფდა, მე ვალდებული არავარ გადავიხადოვო.

დღესაც რევაზაძე გაწვეული იყო ,,სტუდენტთა სამსჯავროს'' წინ და იქ პასუხი უნდა ეგო. ამ საგნის შესახებ დიდი კამათი და ლაპარაკი ასტყდა.. გიგოს დასასჯელად სხვა-და-სხვა საშუალებას ასახელებდნენ.. გიგოს მოლოდინში იყვნენ და ამისათვის არ უნდოდათ ჯერ მსჯავრი დაედოთ მისთვის,—ვნახოთ რითი გაიმართლებს თავსაო.

— სმენა იყოს და გაგონება, ყმაწვილებო, წერილია გიგო რევაზაძისაგან. ყველა სმენად გადაიქცა და ეინტერესებოდათ ჩქარა გაეგოთ წერილის შინაარსი.

— საერთოთ ხმა მაღლა წაიკითხეთ, წაიკითხეთ, ერთხმად შეჰყვირა ყველამ.. ყველაზედ წინად ფრენიაშვილმა წაიკითხა ეს წერილი (ესეც ,,კომისიის წევრად იყო, საღამოს გამგეთ). წაკითხვის შემდეგ ზიზღით და დაღრეჯით უთხრა იქ მდგომ ამხანაგებს,—ერთი უყურეთ და: какъ безграмотно написано письмо! ეტყობა, რომ მტყუანია და იმისათვის არ ინება აქ მობრძანება. ფრენიაშვილი და გიგო ერთმანეთთან ცოტა წაკინკლავებულნი იყვნენ „საღამოს'' გამო, „არა შენი ბრალია და არა შენი ბრალიაო'' აბრალებდნენ ერთმანეთს ანგარიშის უწეს-რიგობას და საქმის არეულად ჩვენებას...

თავმჯდომარემ შემდეგი ამოიკითხა წერილში, „ჩემდა სამწუხაროდ

დების საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

თანახმა ვარ, რომ იმ ფულით ისევ ბანკი დაფუძნდეს, მხოლოდ-კი სხვა სახის ბანკი. მწარე გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მსესხებელი მემამულე ბანკიდგან გატანილ ფულს რიგიანად ვერა ჰხმარობდა. რომ იმ ფულით თავისის მამულის წარმოებას ვერ აუმჯობესებდა. ამიტომ ჩვენი ბანკები ჩვენს სასოფლო წარმოებას სრულიად არ შეეხო, ჩვენს მიწათ მოქმედებას სრულიად არ დასტყობია არავითარი წარმატება მათის მეოხებით! ჩვენნი მემამულენი ისევ ძველებურადვე მხვნელ-მთესველობენ, თუმცა-კი ძველებურადვე ველარ გაიძახიან ჰარი-ჰარალის.

აი სწორედ ამ სამიწათ-მოქმედო დაქვეითებას, ამ საშინელს წყლულს, რომელიც ჰლამის გაანადგუროს ჩვენი მეურნეობა, უნდა დაედვას წამლად ხსენებული თანხა, მკითხველი მიხვდებოდა უკვე, რომ მე მაქვს სახეში სამელიორაციო ბანკი.

ეს თანხა უნდა დაედოს საფუძვლად სამელიორაციო ბანკს. ბანკს უნდა ჰქონდეს უფლება გამოსცეს გირავნობის ფურცლები, სოფლის მამულების დაგირავებით უზრუნველყოფილნი, მაგრამ ამ გირავნობის ფურცლების ღირებულება პირდაპირ კი არ უნდა მიეცეს ხელში დამგირავებელ მემამულეებს, არამედ აგრონომის ზედამხედველობით ეს განატანი სესხი მათის წარმოების გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. სხვა-და-სხვა მხარეს სხვა-და-სხვა ნაირ გაუმჯობესებას უნდა მიაქციონ ყურადღება: ზოგან არხის გაყვანას, ზოგან ახალის „სისტემით“ ვენახის გაშენებას, ზოგან აბრეშუმის გაშენებას, ზოგან რძის საქმეს, საქონლის გაშენებას და სხ. და სხ. ყოველ შემთხვევაში აგრონომი განიხილავს, სად იქნება შესაძლებელი გაუმჯობესება ისე, რომ არც პატრონმა იზარალოს და არც ბანკმა. მე ამ წერილში უადგილოდ მიმაჩნია სამელიორაციო ბანკის წესდების დაწვრილებით შედგენა და მხოლოდ შევეხები საერთო ტიპს, შინაარსს ამგვარ ბანკისას. რასაკვირველია, რადგან თანხაც ცოტა გვაქვს და თავად-აზნაურობაც ღარიბი გვყავს, ჩვენს სამელიორაციო ბანკს ბევრის სხვა-და-სხვა უპირატესობისა და უფლების მოპოება დასჭირდება, მაგრამ ცდასა და გარჯას ყოველიფერი შეუძლიან. ცხადია, თუ ლუარსაბ თათქარიძესავით გვერდზედ წამოვწექით და ჭერში ბუზები ვთვალეთ, მაშინ პირდაღებულებს პირში არაფერი ჩაგვივარდება უზრუნველად ბუზების მეტი. დიაღ! მეცხრამეტე საუკუნეს თავისს დროშაზე ეს სიტყვები უწერია: „ან შრომა ან სიკვდილი!“ და ჩვენც დროა გამოვიფხიზლოთ და მხნედ მივაშუროთ იმას, რაც ჩვენის ცხოვრებისათვის აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია.

მაშასადამე, ჩემი აზრი ეს არის: ამოირჩეს კომმისია მცოდნე კაცებისაგან და მიენდოს მას, სამელიორაციო ბანკების კეთილ-სინიდისიერად შესწავლის შემდეგ, ჩვენი თავად-აზნაურობისათვის საჭირო სამელიორაციო ბანკის წესდების შედგენა. შემდეგ ამისა-კი უფლების მოპოვება, რასაკვირველია, თვით თავად-აზნაურობის საქმე იქნება.

ზოგიერთს არ მოეწონება წოდებრივი ხასიათი ამგვარის ბანკისა. მაგრამ, ჯერ ერთი, ნათქვამია, სულ არაობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო, და, მეორე, თავად-აზნაურობის მამულების გაუმჯობესება თვით საგლეხო მიწათ-მოქმედებაზედაც კარგს გავლენას იქონიებს, გლეხებსაც გამოაღებინებს ხელს, გამოაფხიზლებს, გამოიყვანს წარმატების გზაზედ.

ვ. წ.

რუსეთი

მომავალის წლის გაზაფხულზედ ქ. ხარკოვში შეუდგებიან ესრედ წოდებულ ,,სახალხო სახლის“ აგებას. ამ სახლში მოთავსებული იქნება თეატრი, დარბაზი სახალხო კითხვებისათვის, წიგნთ-საცავი და სხვა. გამოანგარიშებულია, რომ ამ საქმეს 100 ათასი მანეთი დასჭირდება. ლოთობის წინააღმდეგ ხარკოვის საზოგადოებამ უკვე გადასდო 10000 მანეთი, ხოლო ხარკოვის ქალაქის საბჭომ დაუთმო 1,200 ოთხ კ. საჟ. მიწა. შემწეობა აღმოუჩინა აგრეთვე ამ საქმეს საგუბერნიო ერობამ. კერძო კაცებისაგანაც მიუღიათ შემოწირულება.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ეგზამენი დააწესონ ზოგად საგნებში იმათთვის, ვინც რკინის გზის ლიანდაგზედ მოისურვებს სამსახურს

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის ცნობილ წევრებს, პოეტს ფრანსუა კოპეს და დრამატურგსა და კრიტიკოსს ჟიულ ლემეტრის, ახალი პოლიტიკური საზოგადოება დაუარსებიათ იმ აზრით, რომ დრეიფუსის საქმის გამო გამოწვეულს განხეთქილებას ბოლო მოუღოს საფრანგეთში. გამოჩენილი მწერალნი აცხადებენ, რომ დრეიფუსარების აგიტაცია თუ დიდ ხანს გაგრძელდა, საფრანგეთს დაჰღუპავს და სიკვდილის კარებამდე მიიყვანსო. ახალი საზოგადოებას, რომელსაც თავისი თავი მთელ საფრანგეთის საზოგადოების აზრის გამომხატველად მიაჩნია, თავისის აზრის განსახორციელებლად იხმარს ცოცხალს სიტყვას, კალამს და თავისს წევრების პირადს ღირსებას. როგორც ვხედავთ, ამ საზოგადოების პროგრამა თავისის მშვიდობიანის ხასიათით დიდად განსხვავდება „პატრიოტთა ლიგის“ პროგრამისაგან, თუმცა კი ერთსაცა და მეორესაც დაახლოებით ერთი და იგივე უმთავრესი საგანი ამოქმედებს ეხლა — დრეიფუსარების აგიტაციის მოსპობა მთავრობისა და მხედრობის წინააღმდეგ.

კოპესა და ლემეტრის წერილის დაბეჭდვის შემდეგ, რომლითაც ისინი საფრანგეთის საზოგადოებას იწვევდნენ საერთო საქმეში მონაწილეობის მისაღებად, პარიჟის გაზეთებს სია დაუბეჭდიათ საფრანგეთის აკადემიის თითქმის ყველა წევრებისა, მრავალის ცნობილის და პატივცემულის სწავლულისა, მწერლისა, უნივერსიტეტების პროფესორებისა და სხვათა, რომელნიც აღტაცებით მიჰგებებიან ახალ საზოგადოების დედა-აზრს და დახმარება აღუთქვამთ.

— როგორც გაზეთები ამტკიცებენ, დეგრიონის საქმის გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ვითომც ანრი მოდპლატე [illegible] ილიეოს და დეგრიონი ჰყოლოდეს მთავარ შტაბის საიდუმლო განყოფილებაში, როგორც თანაშემწე, რომელიც ხელს უწყობდა მას სადალატო საქმეებში.

— დრეიფუსის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით სრულებითაც არ შეცვლილა თურმე, ის იმავე პირობებშია, როგორც წინად, ისევე სასტიკად ეპყრობიან მას, როგორც საკასაციო პალატის მიერ ხელ ახლად საქმის გამოძიებამდე. საკასაციო პალატის ქაღალდი დრეიფუსისათვის ჩვენების ჩამორთმევის შესახებ 11 დეკემბერს მისულა კაიენში; დრეიფუსის პასუხი დაუბრუნებიათ პარიჟში 21 დეკემბერს.

— გაზეთების სიტყვით, საკასაციო სასამართლოს სამი კვირის წინად დაუდგენია, ბრძანება გამოსცეს დრეიფუსის უკან დაბრუნების შესახებ. მაგრამ როცა ეს განჩინება გაუგია იუსტიციის მინისტრს, წინააღმდეგი გამხდარა. მას განუცხადებია, რომ როცა ხმა გავრცელდება ამ გარდაწყვეტილების შესახებ, მაშინვე არეულობა მოხდება და მთავრობა ვერ შესძლებს დრეიფუსის დაფარვასო. ამ გარემოების გამო საკასაციო პალატამ დროებით გადასდო თავისი წინანდელი განაჩენიო.

თეატრის მატიანე

ჰენრიხ იბსენის დრამა „ნორა“ ქუთაისის სცენაზედ.

20 დეკემბერს ქართულმა დასმა ქალაქის თეატრში ახალგაზდა მსახიობ ქალის ნ. პ. ჩხეიძის საბენეფისოდ წარმოადგინა ჰენრიხ იბსენის დრამა „ნორა“, გადმოთარგმნილი თვით მობენეფისეს მიერ. ეს პიესა იმდენად საინტერესოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მისის შინაარსის მოკლედ გადმოცემა.

რობერტ ჰელმერი ახალგაზდა ვექილი (ალექსი მესხიშვილი), ირთავს ინსტიტუტში გაზრდილს ახალგაზდა ნორას (ნ. პ. ჩხეიძის ასული), შუათანა ბურჟუას შვილს, რომელიც მამას ისე უყვარს და რომელსაც ისე ეფერება, როგორც ლამაზ ტიკინს. ამ ნაირის შეხედულობისა არის ამ ქალის შესახებ თვითონ ქმარიც რობერტ ჰელმერი: ის ისე უყურებს თავისს მშვენიერს ცოლს, როგორც უძვირფასესს ნივთს, მისდა სასიამოვნოდ გაჩენილს და არა ისე, როგორც თავისს სწორს ადამიანს.

სულ სხვა ადამიანს წარმოადგენს თვით ნორა. იგი პირველის შეხედვით თითქო იმგვარ არსებად გეჩვენებათ, რომელიც მარტო თავისის სიამოვნებისა და გართობისათვის ზრუნავს და სხვა ფიქრი და დარდი არ აწუხებს. მაგრამ მისის გულის სიღრმეში ისეთი კეთილშობილური და იდეალური სიყვარული და თავგანწირულება ამოიძებნება ქმრისა და შვილებისა, რომ რაღაც ციურ არსებას მოგაგონებთ; ამასთან თქვენ ჰხედავთ ყველა მისს მოქმედებაში ისეთს ყმაწვილურს გულწრფელობასა და უმანკოებას, რომ ძალაუნებურად იტაცებს თქვენს გონებას ეს წმინდა-ზნეობიანი არსება. დგება დრო, როცა ამ თვისებებს ცხოვრებაში იჩენს. ქმარი მძიმე ავადმყოფი შეიქნა. მოსარჩენად ბევრი ფული სჭირდებათ. მამა ნორასი ამ დროს უკვე მკვდარია. ნორა სესხულობს ჰიუნტნერის შეწევნით ბანკიდგან ფულს და თამასუქზედ მამის მაგივრად ხელს აწერს როგორც თავმდები. ჰიუნტნერი (გამყრელიძე) ჰმსახურობს ამ ბანკში, იგი საზოგადოების თვალში შერცხვენილ კაცად ითვლება, იმას თითქმის სახლში

ვერ მოვალ ამაღამ. მე ჩემს თავს დანაშაულად არფერში ვგრძნობ და ვისაც ჰსურს საქმის ვითარება გაიგოს, იმას შეუძლიან ჩემთან თითონ მოვიდეს და ყველას პირადად ავუხსნი. მე საჭიროდ არ ვრაცხ და ვალდებულად საზოგადო კრებასთან ვიმართლო თავი“. გიგო რ—ძე.

— დახე-და! ფულები გადაყლაპა და არც-კი უნდა მობრძანდეს და თავი გაიმართლოს. მისი წერილი ჩვენის კრების დაცინვა და მასხარად აგდებაა და მე მგონია კარგი იქნება, თუ ზომიერად დავსჯით რევაზაძეს, სთქვა ერთმა სტუდენტმა.

— უსათუოდ, მეც მაგ აზრისა ვარ, რადგანაც უარს ამბობს, მე ფულებს ვერ გადავიხდი, ვალდებული არა ვარო და არც ასაბუთებს ამ აზრს, ამისათვის, ჩემის აზრით, კარგს ვიზამთ, თუ იმის მამას მივწერთ, ეგების იმან გადაიხადოს ის ასი მანეთი, ასი მანეთიც წინანდელი აქვს კასსიდგან წაღებული. იმასაც არ იძლევა.—დაუმატა ერთმა ძველ გამგეობის წევრთაგანმა.

— ეგ სადაური ლოგიკაა, ვანო, მამას მივწეროთო; მამა აქ რა შუაშია, თუ მისი შვილი დანაშაულს სჩადის?—ვგონებ, ვერაფერი საშუალება დაასახელე.

— ჩვენის წრიდგან გამოვრიცხოთ, ხელი აღარავინ ჩამოართვას, არც ერთმა სტუდენტმა ხმა აღარ გავცეთ და ყოველი კავშირი გავსწყვიტოთ მასთან. მგონი ეს კარგი სასჯელი იქნება მისთვის, ეს ზნეობრივი სასჯელი უსათუოდ იქონიებს ზეგავლენას და იქნება მოასჯულოს,—დაათავა ახალმა „მინისტრ-პრეზიდენტმა“.

ამ საგანმა დიდი კამათი და ბაასი გამოიწვია სტუდენტთა შორის და ბოლოს შემდეგ დასკვნას დაადგნენ და დაეთანხმნენ ყველანი. ,,1) გაეგზავნოს გიგო რევაზაძის მამას წერილი და ეთხოვოს შვილის ვალი“. 2) გაეგზავნოს გიგოს წერილი, რომლითაც ეცნობება, რომ იგი წრემ ,,სამუდამოდ განსდევნა“ და არავითარს კავშირს აღარ იქონიებენ იმასთან...“

ასე და ამ რიგად სამუდამოთ ,,განიდევნა“ რევაზაძე ქართველ სტუდენტების წრიდგან და დღეის იქით ამ წრის წევრად აღარ ჩაითვლებოდა.

ამავე დროს იდევნებოდა ყველასაგან ბებრუცუნა—ძველი წელიწადი და „ახალის“ ტრფიალებასა და მოლოდინში იყო. აგერ უკვე ზარბაზანმაც დაიგრიალა და ახარა ქვეყანას ძველის წლის სიკვდილი, მისი სულის ამოხუთვა.

სჯა და ბაასი გაათავეს სტუდენტებმა და დაიწყეს ერთმანეთის მილოცვა.

მეორე ოთახში სტოლი უკვე გაშლილი იყო და სტუმრების მოლოდინით მოეკოპწიავებინა პირი-სახე. სუფრა სპეტაკად გამოიყურებოდა და ღიმილით იწვევდა იქ მყოფთ.

— ეხლა-კი მეორე საქმეს მივყოთ ხელი. ეს საქმეც არა ნაკლებად საინტერესოა ცხოვრებაში. კუჭი, კუჭი და კუჭი, ყმაწვილებო!! ხომ იცით კუჭზედ ტრიალებს ქვეყანა (ახალის თეორიით) და ჩვენც ვიტრიალოთ იმასთან ერთად. აბა დასხედით ღიმილით და მხარზედ დაკვრით იწვევდა კ—ტე მ—შვილი ყველას სუფრისაკენ.

ყველას სიხარული და აღტაცება ეტყობოდა. მუდმივი დაღრეჯილობა, რომელსაც სტუდენტების ცხოვრება დაჰბადავს ხოლმე, აღარ არსებობდა და სამხიარულოდ გადასჭიმოდათ სახე...

სრული თორმეტი საათი იყო, როდესაც სტუდენტობა ახლად დალაგებული იყო სტოლზედ და ნელა-ნელა შეექცეოდნენ.

აგერ გაისმა ,,მრავალ ჟამიერის“ ხმაც ყველა ერთხმად მღეროდა, ისიც კი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ხმა არ ამოუღია, დღეს ჰღიღინებდა,—ტუჩებს აცმაცუნებდა და ამით თვის კმაყოფილებასა და სიხარულს აღნიშნავდა. ,,მრავალჟამიერს“ სხვა სიმღერები მოჰყვა და დაიწყო „ქართველური“ დროს გატარება. ან განა სამხიარულო არ იყო ეს დღე?!—ახალი წელიწადია, მოჰშორებიან სამშობლოს და ამ წელს ერთად ესალმებიან, ერთად ეგებებიან ახალს წელს და ყველას სული და გული ერთმანეთს ჩაჰხუტვია და გადაჰკონებია; დღეს ერთის გრძნობით არის ყველა შებოჭვილი და სიხარული ყველას თანაბრად მოჰფენია.

თანდათან მხიარულობა და სიხარული ემატებოდა ყველას. ღვინომაც ისარგებლა სტუდენტების ასეთის სიმხიარულით, აღტაცებით და უფრო მეტი ძალა გამოიჩინა. ალკოჰოლის პირველი აღელვებისა და აღტაცების ხანა უკვე დამდგარიყო. ყველა ჰცმუკავდა და ჰმოძრაობდა, გაიმართა ფერხული, ლეკური და ამ საზოგადო მხიარულობას დოლიც ხმას აძლევდა. უკრავდნენ დოლს და მის პრახიპრუხზედ ყველა ერთს დროს თამაშობდა და ხელებს ჰშლიდა.. ამ წუთას იმათ დაჰვიწყებოდათ ყოველ დღიური ჭირ-ვარამი, გაჭირვებანი და შევიწროება, რომელნიც მუდამ თანა სდევენ სტუდენტს ცხოვრებაში. ეს წუთი იმათთვის არაჩვეულებრივი იყო და იშვიათად იყვნენ ხოლმე ასეთს მდგომარეობაში.—დროს გატარებამ გათენებამდის გასტანა. მალე ალკოჰოლის მოქმედების მეორე ხანა დადგა და ღვინომ თვისი ძალა გამოიჩინა. ზოგს ენა მოსჭრა, ზოგს მუხლი და ყველას-კი ეტყობოდა, რომ აღტაცება თანდათან ჰქრებოდა და სიმშვიდე-დაწყნარება იჭერდა იმის ადგილს.

ასე, დილის 6—7 საათი იქნებოდა, როცა სტუდენტები დაიშალნენ თავიანთ ბინებისაკენ, სადაც ისევ იმ ცხოვრებით უნდა ეცხოვრათ, როგორც აქამომდე. მგონი „ახალი წელი“ იმათთვის მაინც ახალს არას მოიტანდა და ხვალაც და ზეგაც იგივე წვალება და გაჭირვება ახლდებოდა თან, როგორიც აქამომდე...

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ იღებს, რადგან ასხვამდენიმე სიყალბე გამოაჩნდა. [illegible] ება ნორას ქმარი; ვექილობას თავს ანებებს და ხდება ამ ბანკის უფროსად. რობერტ ჰელმერი საჭიროდ სთვლის ბანკიდგან დაითხოვოს ჰიუნტნერი, რადგან იმასთან სამსახური თავისის სახელის დამამცირებლად მიაჩნია.

ცოლშვილის პატრონი, ჰიუნტნერი მიდის ნორასთან და სთხოვს იშუამდგომლოს ქმრის წინაშე, რომ სამსახურის ადგილი დაუბრუნოს. ცოლი შუამდგომლობს, მაგრამ ქმარს გაგონებაც არ უნდა ამისი. ჰიუნტნერი ემუქრება ქალს, რომ იგი გამოაქვეყნებს მის მიერ ხელმოწერილს თამასუქს, რითაც დაუმტკიცდება ნორას სიყალბე და კანონი სასტიკად დასჯის და შეარცხვენს საზოგადოების წინაშე. უმანკო ნორას ვერ გაუგია, რა არის აქ ცუდი, რომ მან მამის მაგივრად ხელი მოაწერა თამასუქზედ და ამით საყვარელი ქმარი სიკვდილს გადაარჩინა: იგი უარს ხომ არ ამბობს, ვალს არ გადავიხდიო. თუ კანონი ამის გულისათვის ადამიანს დასჯის, იგი გაუგებარი და უგუნური ყოფილა. ჰიუნტნერი ხელ-მეორედ ემუქრება, რომ ამ სიყალბის გამოაშკარავებით შერცხვება არა მარტო ნორა, არამედ თითონ ჰელმერიც და ადგილსაც დაჰკარგავს ბანკშიო. ახალგაზდა ქალი მეტად შევიწროებულს მდგომარეობაში ვარდება, იტანჯება და თვალ-ცრემლიანი ევედრება ქმარს ჰიუნტნერს ძველი ადგილი დაუბრუნოს. აქ ხდება სასტიკი ზნეობრივი ბრძოლა ცოლ ქმარს შორის. ქმარი მეტად უსამართლოდ დაამცირებს ცოლის ზნეობა'ა და პატიოსნებას. იმისს სურვილს არ ასრულებს მარტო იმ მოსაზრებისა გამო, რომ, თუ მან ჰიუნტნერი სამსახურში მიიღო, ამით თითონ ჰელმერს სახელი გაუტყდება საზოგადოების თვალში. ამ დროს ნორასთან ჩნდება მისი ძველი გულითადი მეგობარი ქ.ნი ლინდენი (ივანიძისა), რომელსაც ჰიუნტნერი ახალგაზდობაში გულწრფელად ეტრფოდა და ეს ტრფიალი აქამდის შერჩა. ამ ქალის შემწეობით ნორა თამასუქს დაიბრუნებს და ქმარს გადასცემს. რაკი ჰელმერი თამასუქს დაიბრუნებს, ახლა მეტად მხიარულია; საზოგადოების თვალში იგი პატიოსან კაცად რჩება. მაგრამ ამით მან გამოიჩინა სუსტი სიყვარული ცოლისა, რაიცა ცხადად დაინახა უმანკო ნორამ და, აღშფოთებული ქმრის ამ გვარის ქცევით, იგი თავს ანებებს ქმარსაცა და შვილებსაც, რომ საკუთარის შრომით იცხოვროს მარტოდ-მარტო. ჰელმერი არ მოელოდა ცოლისაგან ამისთანა სასტიკ მოქცევას და უნუგეშო მდგომარეობაში ვარდება.

ეს, რასაკვირველია, დრამის შინაარსის მკრთალი გადმოცემაა, სცენაზედ იგი მშვენივრად ჰმოქმედებს.

ჩვენ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ იმ სასიამოვნო გარემოებას, რომ ვ. მესხიშვილს მშვენიერი ალღო აქვს პიესების არჩევისა. ის მუდამ ისეთს აზრიანს პიესებსა სდგამს სათამაშოდ, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებაზედ. მოსმენა ამისთანა პიესებისა უეჭველად დააფიქრებს ყველას, ვისაც დაფიქრების ნიჭი აქვს, ჩაახედებს ცხოვრების ცუდსა და კარგს თვისებაში, რომელიც ასეთის დიდებულის ნიჭით არის დახატული, როგორც ჰენ. იბსენის ,,ნორაში''.

საზოგადოება იმდენი არ დაესწრო, რამდენის იმედიცა გვქონდა და, ვფიქრობთ, რომ სანანურად უნდა დარჩეს ეს დაუსწრებლობა. იმედი გვაქვს, რომ ამ პიესას კიდევ წარმოადგენენ; რადგან მაყურებელი ყოველთვის ბლომად იქნება. საჭიროდ მიგვაჩნია ის სასიამოვნო გარემოებაც აღვნიშნოთ ბ-ნ ალექსი—მესხიშვილის მოქმედებისა, რომ იგი არ კმაყოფილდება მარტო პიესების სცენაზედ წარმოდგენით: იგი სცდილობს გაამდიდროს ჩვენი ღარიბი რეპერტუარი საუკეთესო დრამების თარგმნით. ბევრს ახალგაზდა ქალსა და კაცს გაუღვიძა სურვილი პიესების თარგმნისა. რამდენიმე პიესა უკვე მზადა აქვთ და რამდენსამესაც სთარგმნიან.

დრამა ,,ნორა'' მშვენივრად წარმოადგინეს. მობენეფისეს და პიესის მთარგმნელს ქ ნ ნ. ჩხეიძეს მრავალი საჩუქარი მიართვეს. ბოლოს წარმოადგინეს ვოდევილი ,,ბარაქალა მასწავლებელო''.

მაყურებელი

დამაკვირდი

—

ვერც ერთი ადამიანი ვერ შეიძლებს სხვისათვის გამოცდილების მოხმარებას. მხოლოდ ჩვენი საკუთარი უბედურება, მხოლოდ ჩვენი საკუთარი გამოცდილება შეგვქმნის სიბრძნეს.

ებერსი

* * *

უმჯობეს გიჩნდინ, რათა თვით კეთილი იყო უფროის კეთილთა ნათესავთაგანობისა.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

კელნი მისნი ემიებენ საქმესა და ფერხნი, მავალნი აქათ და იქით, სახლის გამგებლობისათვის არა დაედალვიან.

გიორგი ჯანთიშელი

დეპეშა

29 დეკემბერი.

პარიჟი. "Temps"-ი იუწყება, რომ საკასაციო პალატა მოსთხოვს საელჩოს მდივანს პალეოლოგს განმარტებას საიდუმლო dossier-ის ერთის საბუთის ქაღალდის შესახებ, რომელიც ისეა შეცვლილი, რომ აზრი და მნიშვნელობა დამახინჯებულიაო. ეს ცვლილება აღნიშნა სამხედრო მინისტრად ნამყოფმა, რომელსაც როგორც მოწმეს, საკასაციო პალატამ ჩვენება ჩამოართვა. საქმე შეეხება უცხო სახელმწიფოს სამხედრო ატტაშეს დეპეშას, რომელიც ორჯელ იქმნა გადათარგმნილი ერთი თარგმანი სამხედრო სამინისტროს ბიუროშია, მეორე გარეშე საქმეთა სამინისტროში. თარგმანები სრულებით ეწინააღმდეგებიან ერთიერთმანეთს. ის თარგმანი, რომელიც საიდუმლო ქაღალდებშია, დრეიფუსის საბრალმდებლო საბუთს შეიცავს. დეპეშა, რომელზედაც ლაპარაკია, გაგზავნილ იქმნა ცოტა ხნით ადრე ზოლას საქმის დაწყებამდე. გარეშე საქმეთა ბიურომ დეპეშა სწორედ გადათარგმნა. მთავარ შტაბის დაწესებულებანი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ ეს საბუთის ქაღალდი შეადგენს გადაღებულ დეპეშას, რომელიც პანიცარდიმ გაუგზავნა იტალიის მთავრობას დრეიფუსის დაპატიმრების ორის საათის შემდეგ. დეპეშის შინაარსი დაახლოვებით შემდეგია: „კაპიტანი დრეიფუსი დაპატიმრებულ იქმნა. მიღებულია საჭირო საფრთხილო ზომები“. ბიურომ დეპეშის პირი სამხედრო მინისტრს მერსიეს გადასცა. ჰანოტომ უკანვე მოითხოვა იგი, რადგანაც მეორე ფრაზა სწორედ არ იყო გადათარგმნილი.

გონკონგი. კუნძულ ბალაკიდკან უკანასკნელად მოსული ცნობები უარსა ჰყოფენ იმ ხმას, ვითომც კუნძულზედ მცხოვრები ესპანელნი ამოწყვიტესო. ამბობენ, რომ ეს ხმა განგებ გაავრცელა სამღვდელოებამ, რათა ფილიპელთა საქმისათვის ევნო.

ბომბეი. ბეითალი კლიმენტი, რომელიც ავღანის ემირთან მსახურებს და რომელიც ინდოეთში მოვიდა, ამბობს, რომ ემირი ავად არისო: საეჭვოა, რომ მან დიდ ხანს იცოცხლოსო.

მანილია. გენერალ ოტისის პროკლამაციის საპასუხოდ აგვინალდომ მანიფესტი გამოსცა, რომელშიაც წინააღმდეგობას აცხადებს იმის გამო, რომ ოტისი თავის თავს ფილიპეს კუნძულების სამხედრო გუბერნატორს უწოდებს. აგვინალდო აცხადებს, მე წინააღმდეგი ვიყავ ამერიკელთა უზენაეს ბატონობისა. გენერალ მერრიტის პროკლამაციაში საქვეყნოდ გამოცხადებული იყო, რომ ამერიკელები მხოლოდ ფილიპელების განსათავისუფლებლად მოვიდნენო. აგვინალდო ამიტომ წინააღმდეგობას აცხადებს იმათ საქმეში ამერიკელების უსამართლოდ ჩარევის გამო.

ბერლინი. გუშინ იმპერატორი სადარბაზოდ იყო საფრანგეთის ელჩთან. იმპერატორმა ერთი საათი დაჰყო.

პარიჟი. გაზეთები ერთხმად საჭიროდ სთვლიან, რომ ლებრემ განმარტოს, ხოლო პარლამენტმა განიხილოს მიზეზი ბორეპერის მიერ სამსახურიდგან გასვლისა. „Echo de Paris'-ში დაბეჭდილ წერილში ბორეპერი აცხადებს,—სამსახურს თავი გავანებე იმიტომ, რომ ლებრემ მხოლოდ გარეგნობით დაანახვა ყველას,—ვიძიებ იმ საქმეს, რომელიც ბარდს შეემთხვაო. მე, ბორეპერმა, გარდავწყვიტე, წინააღმდეგობა განვაცხადო საკასაციო სასამართლოს განაჩენის გამო, რომელიც როგორც ვატყობ, უეჭველად დრეიფუსის სასარგებლო იქმნებაო.

პარიჟი. ტყუილია ის, ვითომ ლებრემ უარი განაცხადა,—ბარდა პიკარის საქმეს აღარ გამოვიძიებო. ლებრემ დაავალა მაზოს ორის საქმის გამოძიება: ერთი—ბარდთან მომხდარ შემთხვევისა, ხოლო მეორე—ბორეპერის მიერ აღნიშნულ სხვა-და-სხვა ფაქტებისა.

მასსოვა. დაბეჯითებით იუწყებიან, რომ მაკონენისა და მანგაშის ჯარის შორის საქმე ომამდე მივიდაო. ამბობენ, რომ მენელიკი სამხრეთი აკენ გაემართა, რადგანაც მაკონენს საკმაო ძალა აქვსო.

მანილია. ილო მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია მეამბოხეთ შეჰკრეს ქუჩები და დაარიგეს ბლომად ნავთი, რათა გაანადგურონ სავაჭრო უბანი, როდესაც ამერიკელები ყუმბარებს დაუშენენ. უცხოქვეყნელნი ამერიკის სამხედრო ხომალდს „ბონავენტურ“-ს აფარებენ თავს. ბანკებსაც ფული ამ ხომალდზედ გადააქვთ მაკ-კინლეის პროკლამაცია ფილიპელებმა სასაცილოდ აიგდეს. შერიგებას შეუძლებლადა სთვლიან.

ვაშინგტონი. აქ იმ აზრისა არიან, რომ საქმე ფილიპეს კუნძულებზედ კრიტიკულ მდგომარეობაშიაო. თუ ომი საჭირო იქნება, კუნძულ გვიმარის საოპერაციო ადგილად გადააქცევენო.

პარიჟი. საკასაციო სასამართლოს პირველმა პრეზიდენტმა მაზომ თანხმობა განაცხადა იკისროს თავმჯდომარეობა საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში იმ წამსვე, რა წამსაც დამთავრებული იქმნება გამოძიება დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის შესახებ.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, შეცვლილისა და დამატებულის „მთავრობის კანონდებულებათა და განკარგულებათა“ 1898 წლის მე-82 და 114 №№-ში განცხადებულისამებრ, ამით აცხადებს, რომ 1899 წლის 3 თებერვალს ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემო ხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისათვის. ამ ქონებათა ვაჭრობა დანიშნული იყო 1898 წლის 21 დეკემბერს, მაგრამ ეს ვაჭრობა, რადგანაც იმ განცხადებაში, რომელიც ვაჭრობის შესახებ იუწყებოდა, შეცდომა შეიპარა, გადადებულ და დანიშნულ იქმნა ხელ-ახლად 1899 წლის 3 თებერვლისათვის.

თუ 1899 წ. 3 თებერვალს მამულები არ გაიყიდა, ბანკის წესდების მე-20 §-ს თანახმად დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1899 წლის 19 თებერვალს.

ვინც მოისურვებს ქვემო-დასახელებულ მამულების შეძენას ვაჭრობით, უნდა წარადგინოს თვითეულ მამულზედ აღნიშნული დარჩენილი გარდასახადი, აგრეთვე თუ აღმოჩნდა დარჩენილი საერობო და სახელმწიფო გარდასახადები, ამის გარდა კიდევ თავნი ვალი $10^{0}/_{0}$, ხოლო დანარჩენი ნასყიდობის ფული უნდა წარადგინოს ვაჭრობის დღიდგან თოთხმეტის დღის განმავლობაში.

ჯორჯაძე მიხეილ ნოდარის ძე და კონსტანტინე სოლომონის ძე (ნოდარ მიხეილის ძის ჯორჯაძის მიერ შეძენილი 1893 წლის 21 ოქტომბერს მომხდარ ვაჭრობის დროს) ვენახი, მიწა ზომით 3 დეს. 2160 ოთხ კუთ. საჟ., ტფილისის გუბ. თელავის მაზ. სოფ. საბუესთან. თავნი ვალი 2000 მ., შესატანი გარდასახადი 303 მ. 92 კ., სულ 2303 მ. 92 კ.

კაჩნაძე ივანე ბადურის ძე: 2 ვენახი, მიწა ზომით 2 დეს. 2021 ოთხ-კუთ. საჟ., ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზ. სოფ. ბაკურციხეში. თავნი ვალი 520 მ., შესატანი გარდასახადი 20 მ. 78 კ., სულ 540 მ. 78 კ.

გიუნაშვილი სოლომონ გიორგის ძე: ვენახი და სახნავი ადგილები; მიწა ზომით 1 დეს., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილისის გუბერ. გორის მაზ. სოფ. დღვირისში. თავნი ვალი 68 მ., შესატანი გარდასახადი 9 მ. 90 კ. სულ 77 მ. 90 კ.

ანდრონიკაშვილი გიორგი ზაქარიას ძე. საძოვარი ადგილები, ბაღი და ტყე, მიწი ზომით 9 დეს. 1410 ოთხკ. საჟ. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა, აგარაკ მელაანში. თავნი ვალი 700 მ., შესატან-გარდ. 36 მ. 68 კ., სულ 736 მ. 68 კ.

კაჩნაძე ივლიტე მიხეილის ასული: 2 ვენახი, მიწა ზომით: გირავნობის მოწმობით 5 დეს., ხოლო დაფასებით 4 დეს. 800 ოთხ კ. საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზ. სოფ. ყვარელში თავნი ვალი 840 მ. შესატან-გარდ. 29 მ. 26 კ., სულ 869 მ. 26 კ.

ადატო-კაჩნაძე ივანე გრიგოლის ძე. 3 ვენახი, მიწა ზომით 7 დეს. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა სოფ. ბაკურციხეში. თავნი ვალი 960 მ., შესატან-გარდასახადი 59 მ. 32 კ. სულ 1019 მ. 32 კ

ჯავახიშვილები, ალექსანდრე, ნატალია და თამარა ილიას ძენი და ასულნი: ხეხილიანი ვენახი შენობებით, მიწა ზომით 7 დეს. 720 ოთხკუთხი საჟ., ტფილისის გუბ. გორ. მაზ. სოფ. ზემო-ხანდაკაში. თავნი ვალი 1200 მ., შესატანი გარდასახადი 57 მ. 88 კ., სულ 1257 მ. 88 კ.

ზანდუკელი, სამ ოტიას ძე: ვენახი, მიწა ზომით 7 დეს. ტფილისის გუბ. დუშეთის მაზ. სოფ. არაგვისპირში. თავნი ვალი 1845 მ. შეს. გარდ. 55 მ. 89 კ. სულ 1900 მ. 89 კ.

ზუბურო კაჩნაძე, ალექსანდრე გიორგის ძე: ვენახი, მიწა ზომით 3 დ. 290 ოთხ კუთ. საჟ. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზ. აგარაკ ბაკურციხეში. თავნი ვალი 1303 მ. შესატ. გარდასახადი 40 მ. 78 კ., სულ 1343 მ. 78 კ.

ქვემორე დასახელებულ მამულის ვაჭრობის დაწყებამდე ზემოდ დასახელებულ დარჩენილ გარდასახადის გარდა და აგრეთვე სახელმწიფო და საერობო გარდასახადთა, რომელიც ამ მამულზე იქნება დარჩენილი, წარდგენილ უნდა იქმნეს კიდევ $10^{0}/_{0}$ თავნი ვალისა და ყიდვის დღიდგან 14 დღის განმავლობაში გარდახდილ უნდა იქმნას ნასყიდობის ფული, ხოლო თავნის ვალის დარჩენილი გარდასახადი მყიდველს შეუძლიან ვალად იკისროს სესხის ვადის გათავებამდე.

ჯორჯაძე ეკატერინე ათანასეს ასული: ვენახი, მიწა ზომით 10 დეს. ტფილისის გუბ. თელავის მაზ. აგარაკ გრემში. თავნი ვალი 2800 მ., შესატანი გარდას. 159 მ. 60 კ. სულ 2959 მ. 60 კ. (3—6—2).